# საქართველო
# ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 32 01/07/2019

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/44 განკარგეულბაში „საპრივატიზაციო ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა, რა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სოფელ თეთრაწყაროს მოსახლეობის პოზიციის ამსახველი უარყოფითი დასკვნა, აღნიშნულ სოფელში მდებარე 2830 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.10.38.004). საპრივატიზაციო ობიექტების გეგმაში შეტანასთან დაკავშირებით (დასკვნა თან ერთვის).

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** უარი ეთქვას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს **საპრივატიზაციო ობიექტების გეგმაში** სოფელ თეთრაწყაროში მდებარე 2830 კვ.მ არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.10.38.004).შეტანაზე.

**მუხლი 2.** განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე